ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვრთათვის. (იოან. 10—11).

ვჰოვ ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11 28).

№ 22 1883—1895 30 ნოემბერს

გაზეთის ფასი:

	«მწყემსი»		«მწყემსი» რუსული გამოცემით
12 თვეზე	. . . 3 მან.	12 თვეზე	. . . 5 მან.
6 —	. . . 2 —	6 —	. . . 3 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ აღრესით: *Въ Квирилы, въ редакцію „Мцхеми“ и „Пастырь“.*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიცა იქმნებიან დასაბეჭდავად გამოგზავნილნი ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მაჟის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიღებიან რუსულს ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ბიოგრაფიისათვის საჭირო მასალის შეკრებისა გამო.

მთელი ედა-მიწის ზურგსე არ მოინახება ისეთი ტომი, რომელშიაც ღვთის განგებით, დროს დროთ, არ ეოფილიეონ ისეთი ჰირნი, რომელთაც თავისი ცხოვრებით ს მოღვაწეობით ერმა კვალი არ დაემჩნიოსთ თავიანთი ქვეყნიური მოკლე ცხოვრების დროს შემდეგ დგმათა მისაბაძავად ს სწერთნელად. ასეთი კვამნი ხალხის ისტორიაში როგორც მანათობელნი, ნათლით შემოსილნი სვეტნი, ანათებენ წარსულს ს მასთან მოწმობენ, რომ იმ ხალხს, რომელმაც ისინი წარმოშობა, მოელის ბრწყინვალე მომავალი. იგინი—ეს დიდნი კვამნი—ანიჭებენ თავისს ხალხს ამა თუ იმა შესაფერულობას, მაგრამ უჭერიათ დროშა თავისი ერის ეროვნული ჰატივისა და მედგრად იცავენ ამაგე ერის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითარსებობას სხვა სალსთა შორის. წაარ-თვით ასეთი გვამნი რომელიმე სალსს ⁄ თქვენ ამავე დროს ამოფსვრით ამ სალსს ისტორი-იდგან. ამისათვის ეოველი სალსის წმინდა მოვალეობას შეადგენს დიდის ჰატივისცემით მოეპერას თავის გამოჩენილ წინაპრებს, შესანიშნავ თანამედროვეთ, ეოველთვის ც ცხ-ლად და თვალსაჩინოდ ჭქონდეს თვალწინ ამ გამოჩენილ გვამთა ცხოვრება და მოღვაწეობა, ეველა მათი დიდი გულის ზრახვანი, იდეა-ლები, ჭაზრები და მისწრაფებანი. ის სალსი, რომელიც არაფრად აგდებს და გულცივად ეპე-რობა თავისი გამოჩენილი წინაპარების და თანამედროვეთა შესამჩნევ და საეურადღებო მოღვაწეობათა, ჰასუხის მგებელი იქნება შთა-მომავლობის წინაშე და ასეთი სალსი ადრე თუ გვიან აღიგვება დედა-მიწის ჰირისაგან.

ასეთი და სხვა ბევრი ამისთანა აზრები უნებლიედ გებადება კაცს თავში, როცა სელში იღებ კალამს და გსურს რამე დასწერო ეველა-საგან ჰატივცემულს ჩვენს მღვდელ-მთავრის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მრავალ-ნაეოფიერი და სანგრძლივი ცხოვრების და მო-ღვაწეობის შესახებ.

ჭეშმარიტად რომ ეოვლად სამღვდელო გაბრიელი ერთად ერთი მნათობია, რომელიც აგერ, თითქმის, ნახევარი საუკუნე ანათებს მზეგავ-სი მანათობებით ღარიბს საქართველოს, სა-ქართველო თავამად ჩარიცხავს ეოვლად სამღვ-დელო გაბრიელს თავისს უკვდავ შვილთა შორის. გაბრიელის სახელი ამოუშლელი ოქ-როს ასოებით აღიბეჭდება საქართველოს ის-ტორიაში მათი მეუფების წმიდა და კეთილი ცხოვრებით. ⁄ ჩვენს დროში ამისთანა, თით-ქმის, ერთად ერთ შესანიშნავი კაცის შესახებ როგორ არ უნდა გვქონდეს ეოველივე გვარი ცნობები, რომ ნათლად აღიბეჭდოს ამ შესა-ნიშნავი გვამის ბრწეინვალე და დიდი სახე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ გამო-ჩენილი მწყემს-მთავრის ცხოვრების და მოღ-ვაწეობის აღწერა ფრიად საჭიროა და ამიტომ ჩვენ განვიზრახეთ შეკრება ამ საგნისათვის სა-ჭირო მასალისა,—და ზოგი რამ კიდეც შეკ-რიბეთ,

უმორჩილესად ვთხოვთ ეველას, ვისაც კი რაიმე გამოსადეგი წერილობითი სიბუთები ან რაიმე სარწმუნო ცნობები აქვს, მოგვაწოდოს. როგორათაც უნდა იეონ დაწერილი ეს ცნო-ბები და ან სულ ცოტა მნიშვნელობიანიც რომ იეონ იგინი, ჩვენ მაინც დიდის მადლობით მივიღებთ. დროა შევიგნოთ, რომ იმისთანა კაცების ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან, როგორიც ბძანდება ეოვლად სამღვდელო გაბ-რიელი, სულ უბრალო ჭრამესაც კი დიდი მნი-შვნელობა აქვს და დიდ განძს შეადგენს შთა-მომავლობისათვის, რომელსაც, ვალდებული ვართ, გადავსცეთ მათი მეუფების შესახებ ეოვე-ლივე ის, რაც კი ჩვენ, მისმა თანამედროვე-ებმა ვიცით მათ მეუფებაზე.

ზოგიერთ ცნობებს შეკრებილი მასალისა-გან, დრო და დრო, მკითხველების საეურად-ღებოდ და შესასწორებლადაც, თავდაჰირველად, ვიდრე სრულს ბიოგრაფიას შევადგენდეთ, დავ-ბეჭდავთ ჩვენს გამოცემაში.

დეკ. დ. დამბაშიძე.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრება ქუთაისში.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების კრება ნოემბრის თვის 28, 29 და 30 რიცხვებისათვის იყო დანიშნული. ეს კრება უკვე შედგა. ჩვენ განვიზრახეთ ამ კრების ყველა დადგენილობა და მსჯელობა ვაცნობოთ ჩვენს მკითხველებს. მაგრამ ზოგმა, როცა იგი გაიგებს, რომ სამღვდელოების კრებაზე მსჯელობაო, შეიძლება არც კი აიღოს გაზეთი ხელში და არც ეს წერილი წაიკითხოს, მაგრამ ჩვენ ეიფრთხილებთ ასეთ მკითხველებს. ყველას ვურჩევთ, რომ ამ კრების შესახებ ჩვენი წერილი ბოლომდის გულდასმით წაიკითხოს, რადგან ამ წერილში ჩვენი აწინდელი ცხოვრების ეითარების მეთვალყურე ბევრს სასიხარულოს, გასაკვირველს, გასოცარს და დასაფიქრებელ ამბებს შეიტყობს. აი ვიწყებთ ამ წერილს:

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების კრება ნოემბრის თვის 28, 29 და 30 რიცხვებისათვის იყო დანიშნული. თუმცა ზოგიერთ დეპუტატებს გზის შეკრულობისა ვამო არაეითარი ცნობა არ მისვლია კრების შესახებ, მაგრამ 28 ნოემბერსვე შეიკრიბა საკმაო რიცხვი დეპუტატებისა კრების გასახსნელად. კრებამ სხვა და სხვა კანდიდატებში დაფარული კენჭის ყრით ხმის უმეტესობით აირჩია თავმჯდომარედ დეკ. დ. ღამბაშიძე და ხაქმის მწარმოებლად მღ. მ. მაისურაძე. 29 რიცხვს კრებაში შემობრძანდა ყოველად სამღვდელო ბესარიონი, რომელმაც დარიგება მისცა დეპუტატებს და ბრძანა, რომ მოთხოვნილება და ხარჯი სასწავლებლების შესანახავად ბევრია და ამიტომ ერთგულად და ერთსულად იმოქმედეთ, რათა რაიმე იღონოთ და საშუალება აღმოუჩინოთ თქვენს სასულიერო სასწავლებლებსო. შემდეგ თავსმჯდომარემ მოახსენა მათ მეუფებას: «თქვენო ყოველად უსამღვდელოესობავ! თქვენ თვითონ ბრძანეთ, რომ სამღვდელოება ძლიერ დატვირთულია სხვა და სხვა გარდასახადით. რა უნდა იღონოს სამღვდელოებამ, რომ ამ გარდასახადების შემოტანა ადვილად შეიძლოს? მე მოვახსენებ თქვენ ყოველად უსამღვდელოესობას სურვილი სამღვდელოებისა შესახებ სანთლის საქმის წარმოებისა, რომელიც ერთ უმთავრეს წყაროს შეადგენს სასწავლებლების არსებობისა: სრული იმედია, რომ თქვენი ყოველად უსამღვდელოესობა აღასრულებს გულის წადილს სამღვდელოებას და ამით მისცემთ მათ ღონეს ეს სხვა და სხვა გადასახადები შეტანოს, სადაც ჯერ არის».

ყოველად სამღვდელომ ბრძანა: «მე უკვე განვიზრახე დავაკმაყოფილო თხოვნა სამღვდელოებისა და მ ვანიჭო მას უფლება, რომ თვითონ მან აწარმო

წაელეზე სასულიერო წოდებისას თორმეტი თუმანი და ერთ დროებითად 30 მ., ხოლო საერო წოდებისას წელიწადში 150 მ. ამაებს გარდა ბევრი სხვა კითხვებიც იქმნა განხილული ამ კრებაზე. მოგვყავს აქ ყოველად სამღვდელო ბესარიონის საყურადღებო წინადადება წმინდა სანთლ-ს ქარხნის მმართველ-კამგეობის შესახებ.

„ერთი საუკუნე მეტი არის, რაც უმაღლესი მთავრობის ყურადღება მიექცია სანთლის წარმოების საქმემ. უკანასკნელ დროს, სასწავლებლების ახალი წესდების შემოღების შემდეგ 1860 წლებიდგან მაინც განსაკუთრებული ყურადღება მიექცია სანთლის წარმოების საქმემ მართებლობისა, სამღვდელოებისა და საზოგადოებისა. სანთლის ქარხნების რიგიანად და ჯეროვანად წარმოებამ განამშვენა ტაძრები და მისცა უმთავრესი დონე სასულიერო წოდების განათლების საქმეს. საჭიროა არ არის აღხსნა და განმარტება მისა, რომ სანთლის წარმოების საქმე სამღვდელოებას და საზოგადოებას დიდად ეხმარება ტაძრების განშვენებასა და შემკობაში.

უკანასკნელ ხანებში, სამწუხაროდ, როგორც შენიშნული იყო, ამ ხალხის სასიქადულო და წმიდა მსხვერპლში, წმინდა სანთელში, შეურიეს სხვა უალბი ნივთები და ამ გვარად ატყუებდენ ღმერთსაც და კაცსაც. მაგრამ მართებლობამ შენიშნა ეს ცუდი განზრახულება ზოგიერთ წმინდა სანთლის მექარხნეთა და სასტიკათ აღუკრძალა მათ ბოროტ-მოქმედება სანთლის წარმოების საქმეში. ამ ნაირად ის დამაბრკოლებელი მიზეზები, რომელიც ხელს უშლიდნენ სამღვდელოებას ჯეროვანად სანთლის საქმის წარმოების საქმეში, მაღლობა ღმერთს, მოსპობილია. მაგრამ, სამწუხაროდ, სანთლის წარმოების საქმეს ერთგვარად და ერთნაირად არ მოაქვს ნაყოფი. ხედავ კაცი, რომ ერთ ეპარქიაში ბევრი ნაყოფია სანთლის საქმის წარმოებისაგან, მეორეში-კი ცოტა. ერთს ეპარქიაში რომ უზრუნველ-ყოფილ არიან ეკლესიები და სასწავლებლები, მეორე ეპარქიაში დიდ-სიღარიბეს ითმენენ. მიზეზი ამ სამწუხაროო მოვლენისა, რასაკვირველია, მრავალ გვარია.

ადეს სანთლის ქარხნის და მათ საწყობების წარმოების საქმეს განაგებს ან სამღვდელოება, ან განუსაზღვრელად ეპარქიის მღვდელთ-მთავარი. იცის იმერეთის სამღვდელოებამ, რომ სანთლის ქარხნის საქმეს აწარმოებდა საქართველო-იმერეთის სინოდალნი-კანტორა ბატონი პროკურორის თაოსნობით. მობრძანდა თუ არა ჩვენში ექსარხოსად მადალ-ყოვლად სამღვდელო იოანნიკე, აწ მიტროპოლიტი კიევისა, დიდი მცოდნე სანთლის საქმის წარმოებისა და შესანიშნავი გამჭრიახე ს-ეკლესიო მეურნეობისა, სანთლის ქარხნის წარმოების საქმე მაშინვე მიანიჭა სამღვდელოებას. მცირეს დროშიდ დაამტკიცა სამღვდელოებამ, რომ სანთლის წარმოების საქმეს დიდი ნაყოფის მოტანა შეუძლია ეკლესიებისა და სასწავლებლების სასარგებლოდ. მართალია, ადეს უმთავრეს წყაროს ზოგიერთი თბილისის სასწავლებლების არსებობისას შეადგენს სანთლის ქარხანა.

იმერეთის ეპარქიამი, სადაც განგებისაგან მხვდა მე დროებითი მმართველ-მსახურება, სანთლის ქარხნის საქმე წარმოებულა თვით ადგილობითი ეპარქიის მღვდელ-მთავრისაგან, რომელიც განაგებდა ამ საქმეს თავისი არჩეული სანდო პირებით. სამღვდელოებას ეს უფლება არ ქონია მინიჭებული ადემდის, თუმცა, როგორც საქმეებიდგან სჩანს, არა ერთ-გზის უთხოვნია მღვდელ-მთავრისათვის ამ უფლების მინიჭება. მღვდელ-მთავარი ალბად ვერ რაცხდა სამღვდელოებას იმდენად მომზადებულად, რომ თვითონ მისთვის მიენიჭებია წარმოება სანთლის ქარხნისა; მაგრამ, სამწუხაროდ, მის გამგეობაშიდაც მომხდარა მისთანა სამწუხარო შემთხვე-

ვები, რომელნიც ცხადად გვიმტკიცებენ, რომ სანთლის ქარხნის წარმოების საქმე არ ყოფილა რიგიანად დაყენებული. წინად, იქნება მართლა, იმერეთის სამდვდელოება არ იყო რიგიანად მომზადებული, მაგრამ დღეს, როდესაც ამ სამდვდელოებაში ამდენი ნასწავლი სამდვდელო პირები არიან და რომელნიც ყოველიფერ თავიანთ საქმეში შესანიშნავ მუყაითობას და კეთილ-გონიერებას იჩენენ, სრული დარწმუნებული ვარ, რომ იგი ჯეროვანად და სასარგებლოდ წაიყვანს სანთლის ქარხნის და საზოგადოდ მისი წარმოების საქმეს. მე ვანიჭებ ამ უფლებას სამდვდელოებას და სრული იმედი მაქვს, რომ იგი ამ სანთლის წარმოების საქმეს დააყენებს იმ წესზე და იმ რიგად, როგორც ეს საქმე დაყენებული აქვს მრავალს ადგილას სამდვდელოებას და ჩვენში ქართლ-კახეთის ეპარქიაში, რასაკვირველია, მათი მადალ-ყოველად უსამღვდელოესის, ექსარხოსის ზედამხედველობით და ხელ-მძღვანელობით. სრული იმედი მაქვს, რომ სამდვდელოება თავის გამგეობით უმეტეს ნაყოფს ადმოაჩენს სანთლის წარმოებიდგან, ვიდრემდის დდემდის მოქონდა ეკლესიებისა და სასწავლებლებისთვის.

(შემდეგი იქნება)

ახალი ამბები და შენიშვნები.

26 ამ ნოემბერს ქუთაისის ალექსანდრე ნეველის საკათედრო ტაძარში მწირველი ბძანდებოდა მისი ყოველად უსამღვდელოესობა, დროებით მპართველი იმერეთის ეპარქიისა, ბესარიონი, ეპისკოპოსი ალავერდისა. მასთან თანამწირველნი იყვნენ რექტორი ქუთაისის სემინარიისა მამა არქიმანდრიტი დამიტრი და სობოროს კრებული. წირვაზე ბ. კ. მელ-ძის ლოტბარობით გალობდა არქიერის რუსული მგალობელთა გუნდი. ამ ჩვენ მგალობლებს ერთი დიდი ნაკლულევანება აქვსთ. ეს ნაკლულევანება იმაში მდგომარეობს, რომ იგინი დღეს დიდს ერთგულებით სწავლობენ და გალობენ იმ ჭრელ და კრიმანჭულ საგალობლებს, რომელნიც რუსეთის ჩინებულ ეკკლესიებში, დიდი ხანია, აკრძალულია. წირვაზედ სიტყვა არავის არ წარმოუთქვამს.

***

გაზეთ «იევერიის» ამბავი, ვითომ გურია-მეგრელიის კანცელარია და არხეიი წყალდიდობას «ჩაენთქას,» თავიდან ბოლომდის სიცრუეა. ეს ცრუ ამბავი «იევერიისა» არავის უნდა გაუკვირდეს, რადგან ეს პირველად არ მოდის ამ გაზეთს.

***

აჯამეთის რკინის გზის ხიდის კეთებას მიადგენ. ხიდს აკეთებენ ხისას. ყველა სამუშაო იარაღები მიტანილია.

***

შორაპნის მომრიგებელი სამსაჯულოს გამომძიებელს გრაბოესკის ერთმა აზნაურიშვილმა ლორთქიფანიძემ მათრახით სცემა შეურაცხებისათვის. ლორთქიფანიძე შეპყრობილია.

***

აგერ ერთი თვე გადის, რომ ფოსტის ტარება მიხაილოვსა, ყვირილასა, ქუთაის და ჭიათურას შორის სრულებით მოსპობილია. ძველ დროში კაცებს გადაქონდათ ფოსტა გზის შეკვრის დროს და ეხლა ცხენებითაც ალარ სურსთ ფოსტის ტარება.

***

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების უკანასკნელი გარდაწყვეტილობით სანთლის ქარხნის და წარმოების საქმე სხვა სამღვდელო პირებზე გადავიდა. ეს პირები წმინდა სანთლის ცვილს ყიდულობენ, და ვისაც აქვს გასასყიდელი ცვილი, ეურჩეთ მიიქცენ ამ პირებთან ქუთაისში.

National Library of Georgia

მრავალი მღვდლების თხოვნით ჩვენ შეუდექით კალენდრის შედგენას მომავალი წლისთვის. კალენდარი დასურათებული იქნება. თვითა მეტყველებაში იქნება საზოგადო და ჩვენი საქართველოს ეკკლესიის წმიდანების მსატვრობა. ამ კალენდარში ჩართული იქნება ყველა ის საჭირო ცნობა, რომელთა ცოდნა ყველა მღვდლისა და საეკკლესიო მოსამსახურეთათვის საჭიროა. ამათ გარდა იქნება კალენდარში ხსატვრობა ყველა იმ ხალხის ტიპებისა, რომელნიც მთელს ედედმიწაზე ცხოვრობენ მათი მოკლე ბიოგრაფიით. ფასი კალენდრისა ერთი აბაზი იქნება. სამღვდელოებას შეუძლია მოიპოვოს კალენდარი თავიანთ ბლაგოჩინებისაგან, ხოლო ქალაქებში და დაბებში— წიგნების მაღაზიებში.

მწარე ფიქრები სოფლის მღვდლისა.

ძლიერ ბევრ სამკურნალოს ეუძღვნით ძველ სამღვდელოებას, ძველ უსწავლელ ხალხს. ღიდათ ეამედიღურობთ ლათინური და ბერძნული ენების შესწავლით. მაგრამ, მართალი რომ თქვას კაცმა, მაინცდა მაინც, დიდი არც არაფერი ჩვენ გაგვიკეთებია ლათინური და ბერძნული ენების შესწავლით! შეენიერად ვიცით ღრამატიკული ყველა კანონები, შეენიერად შეგვიძლია განვმარტოთ ბერძნული ენის სხვა და სხვა ფორმები, მაგრამ რას მოკმარება ეს სწავლა ზნეობის მასწავლებელს, სახარების უმაღლესი სწავლის მქადაგებელს? განა შენს ზნეობას იოტის ოდენად აღამაღლებს ლათინური და ბერძნული ენების შესწავლა? სრულებით არა... მართალია, ორატორული ნიჭი მოგვმატება, ქადაგებასაც კარგად წარმოთქვამ, არ შეგეშლება შენი სიტყვების თავთავის ადგილზე დაწყობა და მსმენელთაც გაკვირვებ შენი ორატორული ნიჭით, მაგრამ, საღმრთო წერილის სიტყვისამებრ, შენი სიტყვა იქნება ყვერა. შენი სიტყვით მსმენელნი განკვირდებიან, ვერა გამოგტანი ზნეობითი სწავლისა? რისთვის? მისთვის, რომ ჩვენს სიტყვა-ქადაგებას აკლია უმთავრესი და ყველაზე უსაჭიროესი,— ზნეობრივი ჩვენი განათლება, ჩვენი მოვალეობის ღიდის მუყაითობით აღსრულება... ღიახ, ამაში ჩვენ ძლიერ ჩამოგრჩით ძველ სამღვდელოებას. ნეტარხსენებული ძველი მღვდლები ღვედლად ხელდასხმის შემდეგ ზედიზედ ორმოცკერ აღასრულებდენ ხოლმე წირვას. რომ ჰკითხავდით ამისთანა ზედიზედ წირვის მიზეზს, ეი რას გიპასუხებდენ: ორმოცკერ მიტომ უნდა ვწიროთ, რომ მტკიცედ დამკვიდრდეს ჩვენ შორის ის მაღალი ღვთისა, რომელიც მოგვენიჭა კურთხევის დროს მღვდელ-მთავრის ხელდასხმით. რას გეტყვის ამაზე ეხლანდელი «კურსოვნიკი» მღვდელი, რომელსაც ჰგონია, რომ თუ რუსულად წირვა შესძლო, საესე და შემკულია იგი ყველა ღირსებით? გაცინებს და მხოლოდ შეგბრალებს ძველ სამღვდელოებას ამოდ დაშრომისათვის. ღიაღ, დრო იცვლება. სიზარმაცე ფარფაშობს. არ გჯერათ? აი ფაქტიც. ერთ ეკკლესიაში მსახურებს ოთხი მოძღვარი, ოთხივე წარჩინებულნი. შვიდივარ ამ ტაძარში ერთი ღამისთვეთ ცისკარზე. ოთხნიენ აქეთ-იქით დგანან და არც ერთი არ მღვდელ მოქმედებს. მინდა შევეტყო, ვინ ასრულებს ღამისთვეთ ცისკარს? ტრაპეზის წინ წამოდგა ერთი ვიღაცა შტატ გარეთი მღვდელი, რომელმანც ხუთ ეტეს მღვდელს გაუცალგამოუცალა მრეველი და ბოლოს ერთს სულ დაუთმო და შტატგარეთად ინება დარჩენა... მართალია, თუ მღვდელი ასრულებს ლოცვას, ერთია, ვინც უნდა იყოს იგი, მაგრამ ამისთანა მღვდელს მრეველი დაქრავებულს უწოდებს და სულ სხვა თვალით უყურებს. არ იფიქროთ, რომ ეს სიზარმაცე, ეს გულგრილობა მრეველმა არ შენიშნოს. აი ამ მხრით, ძველი ჩვენი სამღვდელოება ძლიერ საქები ყოფილა და შესანიშნავი და ეხლანდელს დროში სოგიერთებს ბლომათ გაკვეთილების შოვნაზე უჭირავს თვალი!...

*

სწორეთ ჩინებულად იღეკასწავლა საქართველომ თეიმი პატიეცემულის მაბულიშვილის თავად რაფიელ დაეითისძის ერისთავის ორმოც-და-ათი წლის მსახურება საღერტერტურო ასპარეზზე. აქ ქება-დიდება და შესხმები კი არ არის იმდენად საყურადღებო, რამდენითაც ჩვენი, ქართველების გამოღვიძება და გამოცოცხლება. ღმერთმან ინებოს, რომ ამისთანა გამოცოცხლება მტკიცე ნიადაგზე დადგეს და ჯეროვანი ნაყოფი მოეტანოს. გასაკვირველია მხოლოდ, რატომ ერთნაირად არ ეცემთ პატეს ჩვენს მამული შვილებს! ერთი ისეა მოძულებული, რომ საფლავის ქვაც არა აქვს. მეორეზე, რადგან ორი წელიწადი უკლია ორმოც-და-ათ წელს, არ შეიძლება რამე ითქვას.ო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც «ევერია» გვაცნობებს, მრავალი საჩუქრები გაუკეთებიათ იუბილიარისათვის. საჩუქრები უშვილო კაცისთვის მაგდენად სასიამოვნო არ არის. ამ საჩუქრების მაგიერ მათი საფასით, და სხვა ფულების დამატებით რომ ერთი ქართველისათვის სტიპენდია დაარსდებოდეს მალე, ძლიერ სასიამოვნო იქნება.

თუმცა დაბეჭდილი არ ყოფილა, მაგრამ, თითქმის ყოველგან შეიტყეს, რომ ერთ კრებაზე, ამ ცოტა ხანში, ორი ჩინებული ქართველი შეარიგესო, ეს ორი პირი ერთმანეთს ეამბიარენო. ერთ სასიამოვნო შემთხვევას მეორე სიამოვნება მოჰყვაო. კარგი და კეთილი. ძლიერ სასიამოვნო არის, როდესაც გესმის, რომ ორი შემდურებული პირი შერიგდა და ყველაფერი უკმაყოფილობა მოსპეს თვის შორის. სიყვარულობა ურთიერთ შორის ჩვენი ქრისტიანული მოვალეობა არის. იოანნე მახარებლის ეპისტოლეს ერთი თავლის გადაველებაა საკმაო, რომ შეიტყო კაცმა, თუ რამდენად ნაკლულევანია ის კაცი, რომელსაც ძმა თვისი და მოყვასი არ უყვარს.

თუ ასე საჭირო იყო ამ პირების შერიგება, ალბათ მათში უკმაყოფილება ყოფილა და ერთმანეთი ძულებიათ!... მაგრამ ეს ჩვენ არ გვჯერა. არ გვჯერა, რომ ამ ორ ჩინებულ კაცთა შორის პირადი რამ უკმაყოფილება ყოფილიყოს. მესმის უკმაყოფილება, ჩამოვარდნილი ორ კაც შორის ადგილზე, მეთაურობაზე, ერთი მეორისაგან ნივთიერად დაკლებაზე და სხვა რამ ამისთანა ამაო ამა ქვეყნიურ ანგარიშებით შემდგარ უკმაყოფილებაზე. არ მესმის უკმაყოფილება და სამდურავი ორი კაცისა, რომელნიც ერთი აღმოსაველეთში სცხოვრობს და მეორე დასავლეთში, რომელთა შორის არც გასაყოფი და არც დასათმობი არა არის რა. არის მეორე გვარი მიზეზი ორი კაცის უთანხმოებისა, ორი კაცის ერთი ერთმანეთის წინააღმდეგობისა, სასტიკი ბრძოლისა და გადამტერებისაცა. ეს ხდება მაშინ, როდესაც საქმე მიდგება მამულის, სარწმუნოების და სახელმწიფოის საქმის მსახურებაზე. წარმოიდგინეთ, მაგალითებრ, ერთი კაცი სულ ნიადაგ თავისთავზე ფიქრობს, ნიადაგ ეძებს თბილ ადგილს კარგა ბლომა ჯამაგირიანს; როდესაც ხედავს, რომ დანიშნულ ჯამაგირზე უმეტეს სხვა გზით აიღებს, მხოლოდ მაშინ ანებებს თავს სამსახურს. მეორე კი სულ ამ აზრის წინააღმდეგია. ერთი სულ იმას ცდილობს, რომ როგორიმე გზით სიმდიდრე შეიძინოს, მეორეს კი თავისი სიმდიდრეც დაუკარგავს. ერთი იმისთვის, რომ კარგა დიდი ლუკმა ჩაიგდოს ხელში, არაფერს არ ზოგავს, მეორეს კი ამისთანა საქმე სასირცხოდ მიაჩნია. ერთი რომ თავის მოწინააღმდეგის გასალანძღავად არავითარ ღონეს და საძაგელ ხერხს არ ერიდება, მეორე თავაზიანობის მეტს არას ჩადის. ერთს რომ ბურთის გასატანად, თავის მიზნის მისაღწევად ჯიბგირებსა და ყაჩაღებს თავის მოწაფეებად გახდომა სასარგებლოდ მიაჩნია, მეორეს კი ეს საქციელი საზიზღრად მიაჩნია. მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, ამისთანა კაცების შერიგება შეიძლება? არა, არა და არა! როგორ შეიძლება, მაგალითებრ, ქრისტიანის და თათრის შერიგება სარწმუნოებაზე? როგორ შეგიძლია შენ, რომ ურია დაითანხმო ლორის ჭამაზე? შეიძლება, რასაკვირველია, თუ ურია დატოვებს თავისს რჯულს და შენთან ერთად ქრისტიანი გახდება. შეიძლება, რასაკვირველია, ორი სხვა და სხვა მიმართულების კაცის ერთად შეთანხმება, თუ ერთი მათგანი ძველ ცუდ მიმართულებას უარსა ყოფს და შეიჩენებს. ორი კაცის და ბევრისაც დამეგობრება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ყველა მათ ერთი შეხედულება, ერთი მიმართულება, ერთი მისწრაფება და ერთი სურვილი აქვსთ შესახებ მამულის, სარწმუნოებისა, მოძმეთა, მოძულეთა და მოყვარეთა შესახებ. თავისი კერძო საქმის შესახებ ყველას შეუძლია თავთავისი აზრი იქონიოს, მაგრამ საზოგადო, საკეთილო საქმეზე ყველა ერთნაირად უნდა აზროვნობდეს და მოქმედებდეს. ამ ორ ჩინებულ კაცთა შორის თუ ამნაირი შეთანხმება, მორიგება მოხდა, მართლა, რომ სასიამოვნო ამბავია. ღმერთმა ინებოს და ამის შედეგს მალეც შევიტყობთ...

სოფლის მღვდელი.

კორესპონდენციები «მწყემსი»-სა

ოსეთიდან.

ძვირათ შეხედებით ჩვენს საქართველოში ისეთ კუთხეს, სადაც მდაბიო ხალხში გავრცელებული არ იყოს სხვა და სხვა ამაოდ-მოარწმუნეობა და მკითხაობა. მაგრამ ეს ხალხის გამაღარიბებელი სენი ერთი ათად გავრცელებულია მთა ალაგებში მცხოვრებ გაუნათლებელ ხალხში. გაუნათლებელი ხალხი მტკიცედ ასრულებს სხვა და სხვა გამაღარიბებელ ცრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორწმუნეობას და ყურ მოჭრილი მონა ხდება მკითხაველისა. ამის დასამტკიცებლად მოვიყვან შემდეგ მაგალითს:

წელს სოფ. რეგახში მცხოვრებმა პეტრე მამიევმა ერთი ორცთ მიიქცია აქაური მთიული ოსების ყურადღება. მკითხაობაც აღარ იკმარა და გულთმისნობასაც კი ჩემობს და თან ეუბნება მთის ხალხს: «მე ღვთისგან გამოგზავნილი მოციქული ვარ, და თითოეულს კაცს ეუბნება, რომ ამდენი წელი იოცხლებ და ამ ღროს მოკვდებიო, ზოგს ეუბნება: «შენ შვილი ამა და ამ მიზეზით არ გიჩნდებაო. შენ ამა და ამ კაცისა ანუ ქალისაგან ხარ ბოჭადულო და სხვა და სხვა!!» ამა წლის წარსულ თიბათვეს პეტრემ სოფ. რეგახში შეჭკრიბა ხალხი და გამოუცხადა: «ეს ხე მოსჭერით (უჩვენა ერთ გორაზედ ხე) და მის ძირში ამოთხარეთ მიწა და იქ უსათუოდ ეკკლესია აღმოჩნდებაო. ხალხი დიდის მოწიწებით და გულსმოდგინებით შეუდგა პეტრეს ბრძანების აღსრულებას. პეტრემ ხალხს უთხრა: «ხალხნო, დაიცადეთ, ღმერთი ნებას არ გვაძლევს; ჯერ ვილოცოთ და შემდეგ იმუშაეთო». ყველანი დამორჩილენ პეტრეს ბრძანებას, შინისკენ გაეშურნენ და ერთი საათის შემდეგ თითო ბოთლი არაყით გაჩნდენ დანიშნულს ადგილას. რასაკვირველია გულთმისნმა პეტრემ დაილოცა, ჯერ თვითონ გადაჭრა ყანწით არაყი და შერე შეკრებილ ხალხს მისცა ნება არაყის დალეევისა. ხალხმაც, ჩვეულებისამებრ, გადაჭკრა და არაყს ჭურჭლები რო გამოსცალეს, მაშინ დაიწყეს მიწის თხრა. თხარეს მიწა, მაგრამ ქვაც ვერ იპოვეს. გულთმცნანმა პეტრემ ხალხს უთხრა: აი, ხალხნო, ხომ გითხარით, ეკკლესია აღმოჩნდება—თქო, აი ესეც საკმაოა, რომ ოთხი ქვა ეიპოვნეთ ამ მიწაში, ესლა ამ ქვებს სამლოცველო აუშენოთ, ქვიტკირის გალავანი შემოვალოთ და მაშინ ვილოცოთ ხოლმეო». თქმა და საქმეთ ქცევა ერთი იყო. ერთი კვირის განმავლობაში ხალხმა პეტრეს ბრძანებით რაღაც ოთხ ქვეს სამლოცველო დაადგეს და შენი მოწონებული ქვიტკირის გალავანი შემოაველეს. ამ ახალ სალოცავს პეტრე მკითხავმა მამიევმა უწოდა «მთის ხატი» (ხოხიძურ.) მოხერხებულმა პეტრე მკითხავმა თანაშემწეთ აირჩია ერთი ბნედიანი დედაკაცი, რომელიც ხალხს შუამავლობას უწევს პეტრეს წინაშე.

წარსულ თიბათვეს, ერთ კვირა დღეს, გულთმისანმა პეტრემ დანიშნა ამ ახალი აღმოჩენილი, მითომდა სამლოცველოს დღეობა. პეტრემ ამ დღეობისათვის მოიწვია მთელი ოთხი სამრეველოს მცხოვრებნი ე. ი. თიბის, ზარამაგის, ნარის და ზაყისა. ოთხი სამრეველოს მკვიდრნი, ქალი და კაცი აღრიანათ შეკრიბნენ ხსენებულს სამლოცველოსთან. გასაკვირველი ის არის, რომ ამ მაცდურმა პეტრე მკითხავმა ზოგი მღვდლებიც დაიყოლია და დაიმორჩილა. ამ ზემოხსენებული ოთხი სამრეველოს მღვდლებს მიწერა შემდეგი შინაარსის წერილები რუსულად: «თქვენო ყოველად უსამღვდელოებავ უფალო (სახელი მღვდლისა) გთხოვთ გამოცხადდეთ სოფელს რეგახში სამსახურისა გამო, რომ განათლოთ ახალი აშენებული ტაძარი». მღვდლები, თიბისა და ზაყისა არ წავიდნენ პეტრეს ბძანებისამებრ, მაგრამ, საბუთაროდ და საევალოთ, ზარის და ნარის მღვდლები დამორჩილენ მაცდური პეტრე მკითხავის სიტყვას. აქ ამ მამებმა გადახდეს აიაზმა და პარაკლისი პეტრე მკითხ ეის ჩვენებით. ხალხი უთვალავი დაესწრო. პეტრე გულთმისანმკითხავის ჩვენებით და რჩევით ხალხმა დაჭალა რვა ხარი და სამოცოთხმოცი ცხვარი. აიაზმის გადახდის დროს, გულთმისან-მკითხავმა პეტრემ ხალხს უბრძანა: „მარჯვენა ფეხი წინ წადგით და მარცხენა უკანნო» ხალხმა ასრულა პეტრეს ბრძანება. გათავდა აიაზმა. შემდეგ გულთმისან-მკითხავმა პეტრემ აიღო მაცხოვრის ხატი ხელში, გადაწერა ჯვარი ხატით ხალხს და უთხრა: «ჩემი წყალობა გკონდეთო» (მეხოროძეხოოდ). ახალ აშენებულ გალავანში, რასაკვირველია, სანამ პეტრე გულთმისან-მკითხავი ნებას არ მისცემდა ვისმეს, ისე ვერავინ ჰბედავდა ხსენებულს სამლოცველოში შესვლას. მაკვირებს მამა ნარის მღვდლის საქმე. კაცს არდონის ალექსანდრეს ოსეთის სასულიერო შკოლა აქეს დამთავრებული და ამ შკოლაში ნაწყალნი ხომ მისიონერობას ჩემულობენ. პარაკლისის დროს ნარის მღვდლის სახლობამაც კი ვერ შებედა ახალ სამლოცველოს გალავანში, ვიდრემდის ნება არ აიღო გულთმისან-მკითხავ პეტრესაგან. შემდეგ, გულთმისან-მკითხავმა პეტრემ დალოცა-დაამოწყალობნა მღვდლის ცოლი და თავზე თავისი ხელით გადასწერა ჯვარი. ამ ამბავმა მიახწია არდონის ბლაღოჩინის ყურამდე. მ. ბლაღოჩინი ამას წინათ მოვიდა ამ საქმის გამოსაძიებლათ. ბლაღოჩინმა დაიბარა პეტრე და უთხრა: «რათ ატყუებ ხალხსო?»

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულთმისან-მკურნალმა პეტრემ მიუგო ბლაღოჩინს: «მე ერთი უსწავლელი კაცი ვარ და შეუსცდი, მაგრამ ეს მღვდელი ხომ ნასწავლია (ნარის მღვდელზე უთხრა), ის რაფლა შეცდა, რათ მიმიძღოდა წინ საეკლესიურის ენეგით ახალი აშენებული სამლოცველოს განათლის დროსო? დედაკაცმა მიუგო: «მე არა ვიცი რა, შენ-ბერიმე, (დარნბახარონ), მე პეტრემ მითხრა: რაც მე ეს-ქვა, შენც ისა სთქვი და ორივემ ერთათ რაც ფულები ავიღოთ, შუაზე გავიყოთო. მე ბნედა მჭირს; როცა ბნედა მომველის და წავიქცევი, რამდენიმე წამი უგრძნობლათ ვგდივარ ხოლმე, როცა გამომერკვევა და წამოვდგები ხოლმე, ეხედავ, რომა ჩემს გარშემო თეთრი ფულები ჩეჩქვეთ ჭყრია ხოლმე (უგნური ხალხი გარშემო იმიტომ უყრის ხოლმე ფულებს, რომ გვიკურნოსო). მეც წამოვდგები, მოვჭკრებ ფულებს, ჯიბეში ჩავიყრი. გზას გაუდგები და მერე მედა პეტრე გავიყოფთ ხოლმეო.» ბლაღოჩინმა თოქაევმა ყველაფერი გამოიძია და ენახოთ, რა იქნება. ეისურ-ვებთ, რომ ფიცხელი ყურადღება მიქცეოდეს ამ საქმეს, ვისგანაც ჯერ არს, და სამაგალითოდ სხვებისა, ღირსეულათ დაესაჯნოთ მატყუარა პეტრე მ-მიეი...

ქართველი ოსებში.

ᲝᲠᲘᲝᲜᲓᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

სოფლის ბებია ქალების შესახებ.

ქართული ჟურნალ-გაზეთები ჯეროვანს ყურადღებას აქცევენ, ჩვენი მდაბიო ხალხის სულიერ და ხორციელ საჭიროებას, იგინი ნათლად უჩვენებენ, თუ რა ესაჭიროება სოფელს და ხნ რა საშუალებით შეიძლება ჩვენს ხალხში ამაო ჩვეულებათა და სოფლის «მკურნეობა» აღმოფხვრა. სხვათა შორის საკმაოდ ბევრი დაიწერა და დღესაც იწერება სოფლის მკითხავ, მარჩიელებზე, რომელთა ქმოხებითაც ჩვენს ხალხს დიდი ნივთიერი და სულიერი ზარალი ეძლევა. სასურველია აგრეთვე, რომ ქართულმა ჟურნალ-გაზეთებმა სოფლის ბებია ქალების მოქმედებასაც მიაქციოს ყურადღება. ამ ბებია ქალებისაგან ბევრი მშობიარე ქალი ეთხოვება ამა წუთისოფელს; მაგრამ რა ჭკნას კაცმა, სოფელში სად იშოვოს ნასწავლი ბებია ქალი! დიდად საჭიროა, რომ მიყრუებულს და მივარდნილს სოფლებში რიგიანი ბებია ქალები მოიპოვებოდენ; მხოლოდ თავისი თვალით შეუძლია მნახველს წარმოიდგინოს ის სულის და გულის შემაწუხებელი სურათი, რომელიც კაცის თვალს წარმოუდგება ქალბით ავადმყოფის დანახვის დროს. საბრალო მშობიარე სწუხს, მაგრამ მშველელი არა ჰყავს. იგი ყველას სთხოვს შველას, მაგრამ მშველელი არა ჰყავს და ბოლოს უვიცი ბებია ქალის ხელში შორდება ამ წუთისოფელს.

ეხლა იმაზე მივაქციოთ ყურადღება, თუ უმეტესად რა მიზეზისა გამო კვდება ქალი ქალბით. მიზეზი ბევრია, მაგრამ მომეტებულად ის, რომ არც მშობიარემ და არც სოფლის უვიცმა ბებია ქალმა არ იცის მეფლოგინეს მოვლა. ყოველი ხანში შესული დედა კაცი თავის თავს ბებიას უწოდებს და მას კი არ დაეძებს, თუ რა მოვალეობა აწევს თავზე ბებია ქალს, მას მხოლოდ სურს ორიოდე გროში იშოვოს და ფეხმძიმე დედაკაცი ქალბისაგან ადვილათ განთავისუფლდება თუ არა, ამას იგი ბევრად არ დაეძებს. საქმე თუ კარგად გათავდა, ხომ ბებია ქალის კვეხნას საძღვარი აღარ აქვს და თუ არა, ის მაშინვე ამას იტყვის: «შვილო, შუბლზე წერებია ამა და ამ დღეს და ამ ნაირი ავადმყოფობით მოკვდეს და კიდეც ასრულდა ეს წერილიო». აშკარად ვიტყვი, რომ სოფელში ფეხმძიმე დედაკაცებს ბებია ქალები თავის უცოდინარობის გამო რიგიანად ვერ შველიან და ამის გამო უმეტესი ნაწილი მათ შორის უდროოდ კვდება. მაგალითად სოფელს ალისუბანში, სამს ივნისს ქალბისაგან გარდაიცვალა ერთი საწყალი გლეხის ცოლი ბებია ქალის უცოდინარობის გამო. საცოდავი დედაკაცი წინა დღით გახდა ავად, მაშინათვე გაგზავნეს კაცი მახლობელ ბებია ქალის მოსაყვანად. შუადამემდის ფეხ მძიმე დედაკაცი მეტად დიდი ავადმყოფი ყოფილიყო, თუმცა მრავალ ჯერ ეთხოვა ავადმყოფს ფეხზე წამოყენება და

იატაკზე გავლა-გამოვლა, მაგრამ ბებია ქალს ნება არ მიეცა და მაგრად ჩაეკოჭა ავადმყოფი ლოგინში. ბოლოს ბებიას შეენიშნა, რომ უმაწვილი უკუღმა იბადებოდა; მას შველის მაგიერ ყვირილი დაეწყო ჯ შინ გაქცეულიყო. ბებიას ამნაირ სულელურ მოქმედებას მეტად დაესუსტებია და შეშინებია უიმისოდაც ავადმყოფის შესუსტებული სხეული და გული. ჭირისუფლები მაშინვე გაქცეულიყვნენ მეორე ბებია ქალთან, რომელიც მაშინვე მოსულა, მაგრამ როცა დაუნახავს ავადმყოფის საშიშარი მდგომარეობა, უთქვამს: «პირველი ბებია ყოფილა უვიცი, რატომ მე არ შემატყობინეთ, ეხლა მაგის მორჩენა არ შემიძლია». ბოლოს მოუყვანია ეს მესამე ბებია ქალიც, მაგრამ საქმე მეტად დაგვიანებული იყო, და ამიტომ საწყალმა დასუსტებულმა ავადმყოფმა, შიშისა და ნამეტურ მოუვლელობისაგან სული განუტევა.

ამისთანა უბედური შემთხვევა იშვიათი მოვლენა არ არის ჩვენს სოფლებში. თითქმის ყოველ კვირაში ისმის ხმა, რომ ამა და ამ სოფელში ძალით ქალი გადაიცვალაო, ამისათვის სასურველია ყოველმა შეგნებულმა პირმა, და განსაკუთრებით სოფლის ფლდლებმა, რომელთა პირდაპირ მოვალეობაა ხალხის სიბნელის უფსკრულიდგან გამოყვანა, ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს. [1])

მღვდ. მისაელ ბუაჩაძე.

*) და ვინ უშლის მერე მღვდლებს ამ შემთხვევაში ხალხის დახმარებას? ყველა მღვდლისათვის საჭირო გულდასმით წაიკითხოს „კარაბადინი", რომელშიაც შვენიერი დარიგება არის ორსულ ქალთათვის მშობიარობის დროს და შემდეგ. ბავშვის მოვლაზედაც სასარგებლო ცნობებს ნახავს ამაგე წიგნში და შემდგ ეს დარიგება გადაცეს ხალხს. ალბათ მ. ბუაჩიძეს ჯერ კიდევ არ წაუკითხავს ეს კარაბადინი.

რედაქტორი.

საისტორიო მასალა.

წმიდა ესე მარხვანი და ზადიკი ვარძიისა, ფლთის-მშობლის ოდეს მეფემა, სოლომონმა გაიმარჯვა და ჯარით ბრძანდებოდა მრავალი უსჯულო წარმართთა ახლდნენ და ლომსიათხევს მობრძანდა მაშინ. უმეფის, ბრძანებოთ და უუფროსოთ, ზოგმან ლომსიათხევის აზნაურის შვილებმა უბელადეს და წაუძღვნენ უსჯულოთა, ლეკის ჯართა და დაწვეს წმიდა ესე მონასტერი ვარძიისა და ივარ ყვეს, სრულებით სამკაული მონასტრისა და მისნი ბერები და ბერი წმიდის კიკო მონასტრის მოკლეს, ხოლო განაძლიერეს, მრავალს წელს, ფმერთმან მეფე სოლომონ მე მონამან მისმან წმიდის კიკო მონასტრის წინამძღვარმან და ვარძიის არხიმანდრიტმა, იოაკიმ ამ მეფის შეწევნით და ჩემის დიდის ფვაწლით და გარჯით, ეს წმიდა მარხვანი ვიშოვნე და დავდეგი ისევ იმ ვარძიის მონასტერში, მეფის სოლომონის გასამარჯვებლად და სულისა ჩემისა საოხად, ხოლო ვინც ამ ეკლესიის წახდენა იზრახა ანუ ვინც გაუძღვა და ანუ ვისითაც რჩევით, ეს წმიდა ეკლესია აოხრდა ესერა გამომიხატავს უკუღმა ეკლესიაშიდ და ჩვენს კიკო მონასტერშიდაც გამოვსახავ მათ რათა იყვნენ საუკუნოდ შეჩვენებულნი ვითარცა იუდა, სულნი და ხორცნი მათნი რომელნიც იყვნენ თავნი მათნი რომელთაცა წაახდინეს ეს მონასტერი, ორნი ყიფიანი, გიორგი და დათუა და სხვანი ლომსიათხეველნი რომელნიც ერივნენ ამაში. ესერა სწერიან ამ მონასტრის კანკელზედ საუკუნოდ მათდა შესაჩვენებლად: თებერვლის კბ-ს ქრისტეს აქეთ ჩდეა.

გადმოწერილ არს, ს. ვარძიის ფლთის მშობლის ეკლესიის ყოველ ნაწერ, ზადიკ-მარხვნისგან, ზემორე აღწერილი დროსი იოაკიმ არხიმანდრიტის დაწერილი უმეტნაკლებოთ ამა ვე ეკლესიის მფლდლის ნიკოლოზ ანთაძისაგან ჩუოგ-ს წელსა, სეკდემბრის კვ-სა დღესა.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზოგადოებაში და კეთილ-ზნეობაზე.

ცხოვრება ღირსისა და სასწაულთ-მოქმედისა წმ. იოანნე ზედაზნელისა.

შემდეგი *)

წმიდა იოანნე თვალ-ცრემლიანი შუადგა სიტ-ყვებით ლოცვილობდა ღვთაებრივი სვეტის წინაშე: «მსწავე მე უფალო, თუ რა გზით ვიდოდე და მიწ-ნამძღვრე მე შენი ჭეშმარიტებით იმ ადგილამდე, სადაც შენს სადიდებლად მუდროებაში უნდა დავსრულო დღენი ჩემი ცხოვრებისა, რადგან მაურს შეუდგე შენს სამსახურს, უფალო! დაუტევე მე ქვეყანა, სადაც დავიბადე და აღვიზარდე და შენი მზრუნველობით ვიდოდი მაწრაფლ მომავალი ცხოვრების გზით». ლოცვის გათავების ემდეგ წმიდა იოანნე და ყველა მისი ძმანი გაეიდენ მცხეთიდან. წმ. მამებმა დიდის წვალებით გაიარეს მთის ძირი და დაბურული ტყე მთაზე და ბოლოს ავიდენ მთის წვეროზე. წმ. იოანნემ დიაარა მთელი მთის წვერი, სადაც ოდესმე იდგა საძაგელი კერპი ზადენისა. ამ მთის წვეროზე მან ნახა გამოქვაბული კლდე. წმ. იოანნე მიუბრუნდა თავისს მოწაფეებს და რქვა: «ძმანო ჩემნო! მე აქ უნდა დავბინავდე, ჩვენ აქ ვიცხოვრებთ მუუდროთ და ღვთის სასიამოვნოდ.» ამაზე მოწაფეებმა მიუგეს წმ. იოანნეს: «წმიდაო მამაო, როგორც თქვენ გენებოსთ, ისე მოიქეცით. აღნიშნულს გამოქვაბულში წმ. იოანნემ საჩქაროდ მოაწყო ეკლესია, შემდეგ წმიდა მამებმა ხის ფოთლიანი ტოტებისაგან გაიკეთეს კარები, დაბინავდენ მათში და შეუდგენ მოღვაწეობას.

სხეული, დაღლილი მარხვითა და ლოცვითა, ძლიერია სულით; ხოლო სხეული, აღვსილი გარდამეტებული ცხოვრებით და უსაქმობით, ასუსტებს სულს, და ხდის მას მონად ხორციელ ვნებათა. იმიტომაც ამ ღვთის მოშიშმა მამამ დასძლია ხორციელ ვნებათა და სრულიად მიეცა სულის სამსახურს; ამ მოწაფეების სახით უფალმა დაამკვიდრა ამ მთაზე მშვენება ეკლესიისა და საქართველოს ხალხისა, რათა აქედან მოჰფენოდა იქაურ არე-მარეს ქრისტეს სწავლა-მოძღვრების ბრწყინვალე სხივები.

როგორც კი გაიგეს ამ წმიდა მამებს ამ მთაზე დასახლება, ხალხმა ყოველი მხრიდან იწყო მათთან სარული; სნეულნი, ეშმაკეულნი, ბრმანი, ყრუნი და დაშავებულნი იღებდენ კურნებას ამ წმ. მამებისაგან და სახლში განკურნებულნი ბრუნდებოდნენ. იგინი აღიდებდენ და მადლობდენ ღმერთს, რომელიც ანიჭებდა მათ კურნებას ამ წმიდა მამების მეოხებით.

ერთხელ ქათალიკოსმა შეკრიბა თავისი ეპისკოპოსები და მათთან ერთად მოისურვა წმ. მამებთან ასვლა მთაზე. როცა ქათალიკოსი მიუახლოვდა წმ. იოანნეს საცხოვრებელ ბინას, წმ. მამები, რომელთაც იცნეს მათთან მიმავალი მწყემსთ-მთავარი, დიდის სიხარულით აღიარეს და მაშინვე გამოეგებენ ქათალიკოსს, დავარდენ მათ მეუფეთა ფეხთა წინაშე და სთხოვეს, რათა ისინი ეევდრონ მათთვის ღმერთსა. ქათალიკოსი შეეევდრა უფალს და შემდეგ დაჯდა გამოქვაბულის მახლობლად. წმ. იოანნემ მიმართა სტუმრებს შემდეგი სიტყვებით: «რატომ გაისარჯეთ და მოიელეთ ასეთი შრომა ჩვენ უღირსთა სანახავად? ღმერთმა, რომელიც საცხა მოწყალებით, და მოგაგოსთ თქვენ ამის სამაგიერო». ქათალიკოსმა სთხოვა წმ. იოანნეს რაიმე დარიგება მეცა მათთვის, მაგრამ იოანნე დიდ ხანს უარზე იდგა და ამბობდა, რომ დარიგების მიცემა უფრო შეშვენის მათ-მეუფეებას, მაგრამ დაბოლოს ქათალიკოსის ბევრი თხოვნის შემდეგ, წმ. იოანნე დათანხმდა და იწყო სწავლა საუკუნო ცხოვრებაზე. ქათალიკოსი და ეპისკოპოსნი სიხარულით ისმენდენ წმ. იოანნეს სწავლას.

ამ დროს ორი ეპისკოპოსის სიკვდილის გამო ორი ეპარქია იყო თავ-სუფალი: ფილენისა და ნეერესისა. ქათალიკოსმა ეევლავემ მოილაპარაკა ეპისკოპოსებთან და მოინდომა, რომ ორივე ამ თავ-სუფალ ეპარქიებში დაენიშნა ვინმე ამ ათ ცამეტ მამათაგანი და კიდეც დაადგინა, არჩეულ იქმნენ ის მამები, რომელნიც მათი მისვლის დღეს შეასრულებენ წმ. ლიტურგიას. როცა მღვდელ-მთავარი სხვებთან ერთად მივიდა წმ. მამებთან, წირვას ასრუ-

*) იხ. „მწყემსი“ 18—19 1895 წ.

ლებდენ ბერ-მონაზონი აბიბო და მთავარ-დიაკონი ისე. როცა წირვა გათავდა, ქათალიკოსმა წმ. იოანნეს და სხვათა თანადასწრებით ერთი ხელი ჩაჰკიდა აბიბოს და მეორე ისეს, ეამბორა პირველს და უთხრა: «გიხაროდეს აბიბო, ეპისკოპოსო ქალაქ ნეკრესისავ». შემდეგ მიუბრუნდა ისეს და რქვა: «გიხაროდეს ისევე, ეპისკოპოსო ქალაქ წილკანისავ. ახლად აღრჩეულნი პირნი განცვიფრდენ და მასთან სამძიმოთ დაურჩათ მღვდელ-მთავრობის მძიმე მოვალეობის თავიანთ თავზე მიღება. თვალ ცრემლიანი ეევედრებოდენ მ. აბიბო და ისე ქათალიკოს და სთხოვდენ არ მიუშორებინა ეინი წმ. იოანესაგან, რომელიც მათ გულით და სულით ჰყვედათ შეყვარებული. ამაზე ქათალიკოსმა მიუკო მათ: «ცოცხალ არს უფალი ჩვენი ეესო ქრისტე, მე ვერ წავიღებ უკან სიტყვებს, რომელიც გამოგიცხადეთ თქვენ ღვთის ბრძანებით. შემდეგ აღრჩეულ პირთ მიუბრუნდა წმ. იოანნეც და რქვა მათ: შეილებო, ნუ ეწინააღმღეგებით ღვთის ბრძანებას და მათი მეუფების სურვილს. ამისათვის მოვედით ჩვენ ამ მხარეში, რათა ვამოღვაწეოთ სხვა და სხვა ადგილებში და ვთესოთ სიტყვა ღვთისა. არჩეულნი პირნი დეთანხმენ ქათალიკოს, რომელსაც წამოიყვანა ისინი მცხეთაში და ცოტა ხნის შემდეგ ხელი დასხა მათ ეპისკოპოსებად. აბიბო გაგზავნა ნეკრესში, სადაც დიდის ბეჯითობით მოღვაწეობდა იგი კარ-თთაყვანის მცემელთა შორის და ბოლოს ცეცხლის თაყვანის მცემელთაგან მიიღო მოწამებრივი გვირგვინი; ხოლო საკვირველი ისე დაინიშნა წილკანში ეპისკოპოსად; მას ჩაბარდა წილკანის საკრებულო ტაძარი, სადაც დღესაც ინახება სასწაულთ-მოქმედი ხატი ღვთის-მშობლისა, რომელიც ფიცარზეა დახატული.

როცა წმ. აბიბო და ისე წავიდენ მთიდან, წმ. იოანნეს მნახველთა რიცხვმა თან-და-თან იმატა და ბევრი მათგანი სტოვებდენ ქვეყნიურ ცხოვრებას და შედიოდენ ძმათა რიცხვში და მათი მოღვაწეობით და შრომით ის მიუვალი მთა შემდეგში მშვენიერი საცხოვრებელი ადგილი შეიქნა.

ერთ ღამეს ნეტარ იოანნეს გამოეცხადენ ყოველად წმიდა ღვთის-მშობელი და მოციქულთ-სწორი ნინო, ქართველთ-განმანათლებელი, და უბრძანეს წმ. იოანნეს, რომ მას გაეგზავნა თავისი მოწაფეები ივერიის სხვა და სხვა მხარეებში, რათა იქადაგონ სიტყვა ღვთისა და ასწავლონ ხალხს. როგორც კი გამოიღვიძა წმ. იოანნემ, მაშინვე შეკრიბა თავისი მოწაფეები, უამბო მათ ყოველივე, რაც იხილა და გადასცა მათ ღვთის-მშობლის ბრძანება. მასთან ურჩია მათ მომზადებულიყვნენ სამგზავროდ, საითკენაც თითოეულს მათგანს უჩვენებდა თვით უფალი. სამძიმოდ დაურჩათ მოწაფეებს მათი საყვარელი მასწავლებლის მოტოვება, მაგრამ ვერავინ ვერ გაბედა წინააღმდეგობა, ვინაიდგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს თვით უფლის ნება იყო. თავდაპირველად წმ. იოანნემ თავისი მოწაფეები წარუდგინა ქათალიკოს ეელავის, გამოუცხადა მათ მეუფეს ღვთის ნება, სთხოვა ქათალიკოსს, რათა მას ლოცვა-კურთხევა გადაეცა მოწაფეებისათვის. ქათალიკოსმა აკურთხა ეინი და სთხოვა, რომ თითოეულს მათგანს თითო ბერმონაზონი წაეყვანა თანაშემწედ. ყველანი დეთანხმენ ამაზე, გარდა წმ. შოსი; როგორც მოყვარული განდეგილის და განმარტოებული ცხოვრებისა, მან ითხოვა ნება მიეცათ მისთვის, რომ მარტოდ მარტო ეცხოვრა. შემდეგ ამისა წმ. იოანნემ დაარიგა მოწაფეები, თუ როგორ უნდა იცხოვრონ მათ და მასთან შემდეგი დარიგება მისცა: „საყვარელნო შვილნო ჩემნო! ამ ქვეყნის სასიკეთოდ მოგვავლინა აქ უფალმა და, როგორც ხედავთ, ეს ქრისტეს სწავლაზე ახლად დამტკიცებული მხარე, ითხოვს ღვთის სიტყვით მორწყვას, რომ აქ ქადაგებით და სწავლა. მოძღვრებით მტკიცედ გაიდგას ფესვი მართლ-მადიდებელმა სარწმუნოებამ. ამიტომ თითოეული თქვენგანი, მსგავსად მოციქულებისა, უნდა გაემგზაეროს მართლ-მადიდებლობის საქადაგებლად, ნათელ სცეს სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა და უქადაგოს ბნელსა შინა მყოფთ, რათა მათ თაყვანი სცენ უფალსა ჩვენსა ეესო ქრისტესა. ძმანო ჩემნო! მუდამ ქამს გახსოვდესთ სიკვდილი და ყოველთვის თვალის წინ გაქვნდესთ გამოხატული საშინელი დღე განსჯისა, როცა ჩვენ ყველანი უნდა წარვსდგეთ უფლისა ეესო ქრისტეს წინაშე, თავ დახრილნი. მოვიმიქმედოთ ამა ქვეყანაზე კეთილი საქმეები და ნუ დავზოგავთ ჩვენს თავს; განვაგდოთ ხორციელნი ვნებანი, დავითმინოთ დროებითი სენნი, ვინაიდგან ყოველივე ქვეყნიური გარემოცულია მწუხარებით. მხოლოდ საუკუნო ცხოვრებაშია ჩვენი განსვენება. ესძლიოთ აქ ჩვენ მტერი, რომ მომავალში დავიმსახუროთ უკვდავების გვირგვინი; მოვემზადოთ იმა საშინელი ქამისათვის, როცა სული ჩვენი გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორდება სხეულს. ოხ, რა საშინელია ქმი იგი, რომელსა ზეციურნი გუნდნი წაიყვანენ ჩვენს სულს იმ ადგილს, რომელიც მისთვის არის გამზადებული, სადაც მოელის მას მისაგებელი მისი კეთილი ანუ ბოროტი საქმეებისათვის".

ამ დარიგების შემდეგ წმ. იოანემ გაგზავნა თავისი მოწაფეები საქადაგებლად, რომ მოახლოებულ არს სასუფეველი ღვთისა. წმ. მოწაფეები სულის წმიდის წინამძღოლობით გაუდგენ გზას, საითკენაც თითოეულს მათგანს უჩვენა წმ. იოანემ.

ზოგნი ამ წმიდა მამათაგანი, სახელდობ, ბრწინვალე სიწმიდითა და მარხვითა დავით, მრავალ ბრწყინვალე მზე მესვეტეთა ანტონი, ყოველი სასუფეველი უმანკოებისა აბბა იოსები, ძალით და ცნობით დაგვირგვინებული სტეფანე, სეტი მორჩილებისა ზენონი, გაბრწყინვებული მოწამეობით აბიბა, რომელიც იმ დროს იმყოფებოდა ქალაქ ნეკრესში, გაემგზავრენ კახეთში, ივერიის ჩრდილოეთ აღმოსავლეთისკენ, ხოლო შემდეგნი წმ. მამები: შიო, ძალა საქართველოს სამეფოისა, პირრი, მიხაილი, თადეოზი, სეტი ღვთაებრივი სარწმუნოებისა, ისიდორე, წყარო ქველ-მოქმედებისა, წაიღნენ ქართლში, ივერიის ჩრდილოეთ დასავლეთისაკენ, წყარო ყოველად წმიდა სიყვარულისა და უმანკოებისა ისე იმყოფებოდ. და ქართლის ქალაქ წილკანში. თითოეული მათგანი ეწამა სარწმუნოებისა და ჭეშმარიტებისათვის, მზგავსად მოციქულებისა: ისინი, რომელნიც მიელ ქვეყანაზე უფრო ბევრი ღირდენ, ითმენდენ ნაკლულევანებას, უბედურებას, დადიოდენ უდაბნოებსა და მთებში, გამოქვაბულებში და ხევებში; ტყეში შემოსილნი დადიოდენ ისინი ღვთის სიტყვის საქადაგებლად არა მომხედველნი არცა სიტყვისა, არცა ღამისა და არც დღის სიცხისა.

ამ ნეტარ მამებთან მიდიოდნენ ღვთის მოშიშნი და ქრისტეს მორწმუნე პირნი და სწავლობდენ მათგან სულის სასარგებლო საქმეებს; სუსტნი სულითა და ხორცით იღებდენ კურნებას და განათლებას. უფალი ისმენდა ამ მამათა ვედრებას, ანიჭებდა მათ ძალას კურნებისას და სასწაულებისას. ამ სახით მოარწმუნეთა გულნი მტკიცდებოდა მართლ-მადიდებლობაში.

შეწირულება.

მ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვებოძოთ, რომ თქვენის პატივცემულის ჟურნალის «მწყემსის» საშუალებით უკულითადესი მადლობა გამოუცხადოთ, მეორე გურძეგის სოფლის მცხოვრებს, სენაკის მაზრის გლეხს გიგოია დუტუსძე ჯავახიას, რომელმანც მუქთად დაუთმო რწმუნებული ჩემდამო გურძემის სამრეველოის წერა-კითხვის გამავრცელებელის სკოლის შეგირდებს ძვირ-ფასი ოთხ თვალიანი სახლი, სადაც გამართულია სწავლა ზალაში, აგრეთვე შეშა და ყოველი საჭირო მასალით თავისიდე ხარჯით; ვიდრე ახლის სკოლის აშენებამდე; ხოლო მომავალი დროისათვის გვპირდება სხვა და სხვა მომეტებულს შემწეობას ამ სკოლის სასარგებლოდ.

მეორე გურძემის წერა-კითხვის გამავრცელებელის სკოლის მასწავლებელი სოლომონ ჯანაშია.

რედაქციის პასუხი.

მღ. ნ. ბა—ძეს. არ შეიძლება. რა სასწაროა, რომ ორმა მდგდელმა ერთმანეთს უთხრას აღსარება. განა სხვა მდგდელს ვერ იშოვიან?

ბარძიმიდგან მარტო მდგდელს შეუძლია ზიარება და არა ერის კაცს. მართლ-მადიდებელ აღსარების მდგდელს არ შეუძლია სხვა ქრისტიანთა აღმსარებელს წესი აუგოს. უბრალო სახლში როგორ შეიძლება ხალხის მიმზადება და ზიარება?

მღ. დ. გ—ძეს. აფხაზეთში ყველაზეა შესაძლებელია, თორემ კეთილშობილად თუ შესვდას კაცი, რასაკვირველია, არ შეიძლება იმისთანებზე ვეირგვინის კურთხეა, როგორებსაც თქვენ ასახელებთ! სამეის ვარდაწყვეტას ვერ მოესწრება კაცი, თორემ დაუსჯელს არ დატოვებენ მუ-

ჯით მოზხუბარ ბდალდოზინს. მდგელს, რომელსაც სოფუმკლიანი უკმეოფიდება აქვს ბდალდოზინთან, სრული უფლება აქვს სხვა ბდალდოზინი მოითხოვოს.

ერთი მედკითნეს სხვა და სხვა შტატის მდგელის სამსახური არ შეუძლია.

სეკრის სად. მაზ-კარის ერთ მედ-ეითნეს.

თქვენგან დასახელებული საეკლო კითხვების განმარტება თქვენთვის თუ არას საეკლო, თორემ არ გეკუკრა, რომ უკელამ არ იცოდეს ეს კითხვები. მაკალდითებრ, თქვენ გეკეთესებით მთავარ დიაკონის და მედკითნების დაუხმარებლად მარტო ერთ მდგელს შეუძლია სწორროსო? ამის რაღა კითხვა უნდა? სხვების, რასაც იწერებით, არც ერთის არ არის რიგი შესრულებისა. ეოკეკლი მახლობელი მედკითნე კანგიმარტებსთ თქვენ ამ საეკლო კითხვებს უწკენთ.

მ. მ-ს გ—ის.

კარგა კარკეკულია კონდაკში, თუ როდეს უნდა მიიღოს მდგელისგან მთავარ-დიაკონმა ხორცი უფლისა. როდესაც რამდენიმე მდგელი არის მწირგელი, მაშინ, რასკვირველია, ბირგელად მდგელები მიიღებენ და შემდგ მთავარ-დიაკონი წინამძღვარისაგან.

ჩვენს კამოცემაში ის კეწერა, რომ უსასკელო დაბეზღებით წერილების გამო კამოიბეა აკრძალული მთავრობისაგანო.

ეინმე მღვდელს.

თუ მედკითნის ადგილზე არავინ არ არის კანწესებული, იმისი სკვდრი წილი იეოფეება შაზე ხაზინის ჯამაგირს კარგა, ნასკვარი კეძლეკა მედკითნის ცოლშეილს და თუ კარგაცალებულ მედკითნეს ცოლ-შეილი არა ჭეკეს, მაშინ ერთი ნასკვარი ეპარქიის სამზრუნველოში იგზავნება მქვრიკების და ობლების სასარგებლოდ და ნახკვარს კრებული იეოფს.

განცხადებანი.

მიიღება ხელის-მოწერა 1896 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს"-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ფასი ჟურნალისა:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „ ორივე გამოცემა 4 »	— „ ორივე გამოცემა 3 »
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 1 »

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით სამ მანეთად.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას შესანიშნავი განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გააცნოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა ზემოხსენებულის პროგრამმის აღსრულების გარდა არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დამორიებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას ❀ ხალხის ცხოვრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. და თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; ბორჩალოში—სასულ. სასწავლებლის მასწავლებელ ილია ი. ფერადაძესთან; საჩხერეში— მ. ყარაჯან ჩხეიძესთან; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხახუტოვთან. ახალსენაკში—სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ სპირიდონ ან. მატარაძესთან.

ბარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

ამ მამდინარე წლის საჩუქარი შუთა რუსთაველის მხატვრობა უკვე დაურიგდათ ხელის მომწერთ და ვისაც ჯერ არა აქვს მიღებული, ისინიც მალე მიიღებენ.

1896 წლის «მწყემსი»-ს

ხელის მომწერლებს საჩუქრათ დაურიგდებათ

მოზრდილი ფოტოგრაფიული მხატვრობა

საქართველოს მეფის წმ.

დავით აღმაშენებელისა

ჯ

იმერეთის ეპისკოპოსის

გაბრიელისა

ეს მხატვრობანი ფულის შემოტანისათანავე გაეგზავნება ყველა ხელის მომწერთა.

მიიღება ხელის-მოწერა 1896 წლისათვის თვიურ საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

„ჯეჯილზე“

წელიწადში გამოვა სულ 12 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

«ჯეჯილში» დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთ-ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, ივავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით ეღირება—3 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

რედაქტორი-გამომცემელი ან. თ-წერეთლისა.

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთის

„კვალი“

გამოვა 1896 წლიდგან ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდგან სამ თაბახამდის.

რედაქცია ყოველ-ღონისძიებას ხმარობს გააუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა. ამ განზრახვით მან დაიპარა პეტერბურღიდან მრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

წლიურად ეღირება გაუგზავნელად შვიდი მანეთი, ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარის წლისა გაუგზავნელად სამი მან. და ათი შაური, გაგზავნით ოთხი მანეთი; სამი თვისა გაუგზავნელად ორი მან. გაგზავნით სამი მან. თითო ნომერი ეპაზათ.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში არწუნისეულ ქარვასლის «ქართულ სახალხო სამკითხველოში» და „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში». ქალაქს გარეშე ხელის და თვით «კვალის» და «ჯეჯილის» რედაქციაში. (Артиллер. ул. д. Тамашева, возлѣ кадетскаго корпуса).

ვინც «ჯეჯილსა» და «კვალს» ერთად დაიბარებს, მათთვის წლიურათ ეღირება გაუგზავნელათ 10 მან., ხოლო გაგზავნით 12 მან.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція «КВАЛИ».

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმძღვანელონი,

დაწერილნი იაკობ გოგებაშვილის მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, საერო და სამრეველო სკოლებში სახმარებელი, მცირე შევსებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ჩართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მხმარებელთ აღარ მოუნდებათ სყიდვა არც სახატაველისა და არც დედანისა. ფასი ისევ ექვსი შაური, ყდით ორი აბაზი. ეს წიგნი მოწონებულია და ქართულის ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... მინც ერთად იყიდის ოც და ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათ, ყდით 33 კაპ.

გ.უნცეგის კარი, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასში სახმარებელი, მეშვიდე გამოცემა შემკული სურათებით და საქართველოს ქარტით, დაბეჭდილია წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ფასი ყდით ოთხ-აბაზ უნაღლთუნი (90 კაპ.). უყიდოთ ეს გამოცემა არ ისყიდება. მინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცსა—თუთხმეტ შაურად და ვინც ოც-და-ათსა—ოთხმეტ შაურად. ეს წიგნი მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც «მშვენიერი სახელმძღვანელო ქართულის ენისა» და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლ ობაში სახმარებელი, გამოცემა მეშვიდე, ფასი ორი შაური ნარდათ 8 კაპეიკი.

კონა საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდგან, მესამე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური, ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცალა შაურად ბი ცემა წიგნი, ვინც ოცსა-ორ აბაზათ: წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგანა.

ხომალი, ანუ ჩხეულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

კუნწულა, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. ძალონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

იმენანამ რა ჰქმნა? მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის, ფასი ორი შაური.

ხატის მიზეზი? საყმაწვილო მოთხრობა, ფასი შაური.

ასპინძის ომი საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათით, და ქარტით, ფასი ორი შაური

მირიმანდი უკუღმართობა, პუბლიცისტური წერილი დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ კერძო ადამიანის და ძთელის ერის ცხოვრებაში და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, изданіе четвертое, цѣна тридцать копѣекъ, въ переплетѣ 40 коп.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, изданіе третье, цѣна 40 копѣекъ, въ переплетѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихъ къ преподаванію русскаго языка по «Русскому Слову», цѣна 50 коп.

Обѣ части „Русскаго Слова“ одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а „Руководство для учащихъ“ одобрено для библіотекъ низшихъ и среднихъ учебныхъ заведеній всего Кавказскаго учебнаго округа, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденія Господина Главноначальствующаго. (смотри „Сборникъ“ распоряженій по управленію Кавказскимъ Учебнымъ округомъ стр. 1965 и 1967).

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано „Русское Слово“ духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

15—3.

შინაარსი.

საღიტერატურო განყოფილება: ყოველად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ბიოგრაფიისათვის საქირო მასალის შეკრებისა გამო.—იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრება ქუთაისში.—ახალი ამბები და შენიშვნები.—მწარე ფიქრები სოფლის მღვდლისა.—«მწყემსი»-ს კორრესპონდენცია ოსეთიდამ—ორიოდე სიტყვა სოფლის ბეჭია ქალების შესახებ.—საისტორიო მასალა.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებისა და კეთილმსნეობაზე: ცხოვრება ღირსისა და სასწაულთ-მომქმედისა წმ. იოანნე ზედაზნელისა.

შეწირულება.—რედაქციის პასუხი.—განცხადება.

Редакторъ-издатель П. Д. Гамбашидзе. *Дозволено цензурою. Кутаисъ*, 30 Ноября 1895 г.

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе). Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Хананoвыхъ, на Нѣмецкой ул.